ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5382647

ნომერი: AR1822724

თარიღი : 22.04.2021

გაცემის თარიღი : 29.04.2021

გაცნობის თარიღი : 29.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იუსტინე აბულაძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი სულაბერიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არტსტუდიო პროექტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204489393

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "მაილინ გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205207364
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაქარია დუდაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 710757873

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3653077 (გაგრძელება № 5265262; 03.02.2021)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.11.2017

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 დემონტაჟის მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 მარტის №1179329 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 50/024, შ.პ.ს. "მაილინ გრუპ"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ავარიული შენობა–ნაგებობის დემონტაჟის არქიტექტურული პროექტი; გაიცა დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 26 მარტიდან 2014 წლის 26 ივნისის ჩათვლით;

2017 წლის 12 სექტემბრის AR1539620 განცხადების საფუძველზე 2017 წლის 02 ნოემბრის №3653077 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 50/024, შპს "მაილინ გრუპ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ავარიული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 3 ნოემბრიდან 2018 წლის 3 თებერვლის ჩათვლით.

2021 წლის 26 იანვრის AR1800559 განცხადების საფუძველზე 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი) იუსტინე აბულაძის ქ. N15-ში შპს "მაილინ გრუპ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა–ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 3 თებერვლიდან 2021 წლის 3 მაისის ჩათვლით.

2021 წლის 22 აპრილის №AR1822724 განცხადებით მოგვმართა მოქ. ქეთევან ფანცულაიამ (30.09.2020 წლის მინდობილობა) რომელიც ითხოვს დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 22021 წლის 03 თებერვლის № 5265262 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 ბრძანებაში, კერძოდ ჩანაწერი, " დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 3 თებერვლიდან 2021 წლის 3 მაისის ჩათვლით.", შეიცვალოს ჩანაწერით „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 29 აპრილიდან 2021 წლის 29 ივლისის ჩათვლით";
2 . წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.